ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2971741

ნომერი: AR1455828

თარიღი : 11.11.2016

გაცემის თარიღი : 30.11.2016

გაცნობის თარიღი : 05.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ორგანიზაცია:

- სს აქსის თაუერსი კოდი: 405077704

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11.11.2016 წ. №AR1455828 განცხადებით მომართა თეიმურაზ ჭოხონელიძემ და მოითხოვა 25.10.2005 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით

დავალებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 25 ოქტომბერს №01.14.14.003.065 და №01.14.14.003.075 (ფართობი 4946 კვ.მ და 851 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე საოფისე ცენტრის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21.09.2015 წ. №2199478 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადატრო კოდი: 01.14.14.003.176, ფართობი: 6508 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია მხოლოდ საკადასტრო ერთეულის მონაცემები.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებას დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის№882016447338);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, კერძოდ მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მიეთითოს - 6508 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს - №01.14.14.003.176;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებასთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21.09.2015 წ. №2199478 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.